

შპს “ავტონეტი”
ს/კ 405138104

ფინანსური ანგარიში

31 დეკემბერი 2023

ქ. თბილისი
30.09.2024წ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	118,524	106,722
	<u>118,524</u>	<u>106,722</u>
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატ. მარაგები	2,293,724	2,215,518
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	538,133	513,134
გადახდილი ავანსები	639,782	457,693
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	1,017,448	412,409
	<u>4,489,087</u>	<u>3,598,754</u>
სულ აქტივები	<u>4,607,611</u>	<u>3,705,476</u>
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი და რეზერვები		
საწესდებო კაპიტალი	100,000	100,000
აკუმულირებული მოგება	3,898,489	2,931,129
	<u>3,998,489</u>	<u>3,031,129</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხები	-	-
	<u>-</u>	<u>-</u>
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	609,122	674,346
	<u>609,122</u>	<u>674,346</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	<u>4,607,611</u>	<u>3,705,476</u>

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს

დავით ფარცვანია

დირექტორი

მაია ნათაძე

მთ. ბუღალტერი

მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
შემოსავალი	6,795,158	5,868,634
გაყიდვების თვითირიზებულიება	(4,330,952)	(3,848,063)
ხელფასის ხარჯი	(825,102)	(706,789)
იჯარის ხარჯი	(195,197)	(180,380)
ცვეთა და ამორტიზაცია	(34,000)	(20,942)
ადმინისტრ. და სხვა საოპერაციო ხარჯი	(160,194)	(162,297)
შედეგი ოპერაციული საქმიანობიდან	1,249,712	950,164
ფინანსური შემოსავალი	2,706	119,999
ფინანსური ხარჯი (საპროცენტო)	-	(5,389)
სხვა ფინანსური ხარჯი (სავალუტო სახსრების გადაფასება)	(26,868)	(40,620)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	1,225,550	1,024,154
მოგების გადასახადი (ხარჯი)/ბენეფიტი წლის განმავლობაში მიღებული მოგება	(38,728)	(30,854)
	1,186,821	993,300
სხვა გაერთიანებული შემოსავალი	-	-
გაცემული დივიდენდი	(219,461)	(174,842)
გაერთიანებული შემოსავალი საანგარიშგებო წლისთვის	967,360	818,458

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს

დავით ფარცვანია

დირექტორი

მაია ნათაძე

მთ. ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	118,524	106,722
	<u>118,524</u>	<u>106,722</u>
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატ. მარაგები	2,293,724	2,215,518
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	538,133	513,134
გადახდილი ავანსები	639,782	457,693
სხვა მოკლევადიანი აქტივები		-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	1,017,448	412,409
	<u>4,489,087</u>	<u>3,598,754</u>
სულ აქტივები	<u>4,607,611</u>	<u>3,705,476</u>
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი და რეზერვები		
საწესდებო კაპიტალი	100,000	100,000
აკუმულირებული მოგება	3,898,489	2,931,129
	<u>3,998,489</u>	<u>3,031,129</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხები		-
		-
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	609,122	674,346
	<u>609,122</u>	<u>674,346</u>
სულ კაპიტლი და ვალდებულებები	<u>4,607,611</u>	<u>3,705,476</u>

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს

დავით ფარცვანია

დირექტორი

მაია ნათამე

მთ. ბუღალტერი



მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება


ლარი	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
შემოსავალი	6,795,158	5,868,634
გაყიდვების თვითირებულება	(4,330,952)	(3,848,063)
ხელფასის ხარჯი	(825,102)	(706,789)
იჯარის ხარჯი	(195,197)	(180,380)
ცვეთა და ამორტიზაცია	(34,000)	(20,942)
ადმინისტრ. და სხვა საოპერაციო ხარჯი	(160,194)	(162,297)
შედეგი ოპერაციული საქმიანობიდან	1,249,712	950,164
ფინანსური შემოსავალი	2,706	119,999
ფინანსური ხარჯი (საპროცენტო)	-	(5,389)
სხვა ფინანსური ხარჯი (სავალუტო სახსრების გადაფასება)	(26,868)	(40,620)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	1,225,550	1,024,154
მოგების გადასახადი (ხარჯი)/ბენეფიტი წლის განმავლობაში მიღებული მოგება	(38,728)	(30,854)
	1,186,821	993,300
სხვა გაერთიანებული შემოსავალი	-	-
გაცემული დივიდენდი	(219,461)	(174,842)
გაერთიანებული შემოსავალი საანგარიშგებო წლისთვის	967,360	818,458

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს

დავით ფარცვანია
დირექტორი

მაია ნათაძე
მთ. ბუღალტერი





ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს ავტონეტი დაარსდა 2016 წლის 29 თებერვალს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები არიან:

1. გიორგი ჯამელაშვილი 16.64%
2. მზია ჩადუნელი 16.68%
3. ავთანდილ ფარცვანია 10%
4. დავით ფარცვანია 10%
5. გიორგი ბეროშვილი 10%
6. ნიკოლოზ გოშაძე 10%
7. თორნიკე გელოვანი 10%
8. ანა ჯამელაშვილი 4.17%
9. გივი ჯამელაშვილი 4.17%
10. გივი ჯამელაშვილი 4.17%
11. თამარი ჯამელაშვილი 4.17%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს იმპორტირებული საქონლის, კერძოდ მსუბუქი ავტომობილების სათადარიგო ნაწილების, აქსესუარების და საპოხი ზეთების, საბითუმო რეალიზაცია, დამატებით საქმიანობას წარმოადგენს იმავე საქონლის საცალო რეალიზაცია, ხოლო დამხმარე საქმიანობას წარმოადგენს კომპანიაშივე შეძენილი სათადარიგო ნაწილების/ზეთის შეცვლის მომსახურება.

კომპანიის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ:

- გიორგი ჯამელაშვილი - დირექტორი
- დავით ფარცვანია - დირექტორი

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, საირმის ქ. #40-მიმდ., ბ.5.

კომპანიის ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, დავით ყიფიანის ქ. # 23; #24

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2,6894 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 2,9753 (2022 წლის 31 დეკემბრისთვის ერთი ამერიკული დოლარი შეადგენს 2,702 ლარს, ერთი ევრო 2,8844 ლარს). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემულია აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები:

სატრანსპორტო საშუალებები 5-8 წელი;

კომპიუტერები და ელ.ტექნიკა 2-8 წელი;

ავეჯი და ინვენტარი 3-7 წელი;

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა 5-8 წელი

არამატერიალური აქტივები (კომპიუტერული პროგრამები) 5-12 წელი.

3.3 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომელიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან, როგორშიც ის იმყოფება.

კომპანიის ძირითად სასაქონლო მატერიალურ მარაგებს წარმოადგენს შემდეგი დასახელების საქონელი:

- ავტომანქანის საპოხი საშუალებები;
- ავტომანქანის საქარე მინები;
- ავტომანქანის სხვადასხვა სათადარიგო ნაწილები;
- სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები.

3.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ფასდება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.5 გადახდილი და მიღებული ავანსები

გადახდილი და მიღებული ავანსები აღიარდება გადახდილი/მიღებული თანხის ოდენობით გადახდის/მიღების მომენტში. ავანსების გადაფასება არ ხდება სავალუტო კურსის მიხედვით და რჩება შეფასებული ისტორიული ღირებულებით.

გადახდილი ავანსების გაუფასურებაზე ტესტირება ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს და თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გადახდილი ავანსის შესაბამის საქონელს ან მომსახურებას კომპანია ვერ მიიღებს და თანხის უკან დაბრუნებაც შეუძლებელი იქნება, მაშინ გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.6 ფული და ფულადი ექვივალენტები

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

3.7 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია მფლობელების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი სრულად შევსებულია ფულადი სახით.

დაგროვილი მოგება შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას ან აკუმულირებულ ზარალს.

დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდება.

3.8 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება/(ჩათვლა) დასაბეგრ წლიურ შემოსავალზე, ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით და გასული წლის საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კორექტირებით.

ცვლილებები მოგების გადასახადში, რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც დაკავშირებულია მოგების გადასახადის ახალ მოდელთან.

ახალი მოდელის (“მოგების გადასახადის ესტონური მოდელი”) მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიის მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები, რომელიც განიხილება მოგების განაწილებად (საჩუქარი, გადახდები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად, გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.9 შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან და თანმხლები მომსახურების გაწევიდან.

შემოსავალი აღიარდება საქონლის მიწოდებისას, როდესაც კლიენტი ადასტურებს საქონლის/მომსახურების მიღებას. შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების თანხით.

3.10 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები მოიცავს ხელფასებს, პრემიებს, ანაზღაურებად შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებას. მათი გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას.

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება. მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

3.11 იჯარა

იჯარა, ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული და მიღებული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად.

საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. კომპანიის საიჯარო ხარჯი ფიქსირებულია ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარის სახით.

4 სავაჭრო მოთხოვნები

ბალანსში ასახული მთლიანი მოთხოვნის თანხა ძირითადად წარმოშობილია მომხმარებლების მიერ საქონლის შეძენის შედეგად. ყველა მოთხოვნა მოკლევადიანია და დენომინირებულია ლარში.

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მოთხოვნები სრულად ამოღებადია და ამდენად არ არის საჭირო საექვო ვალების რეზერვის შექმნა. მოთხოვნების ამოღების საშუალო პერიოდი არის 12 თვე.

5 გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები წარმოშობილია ძირითადად სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისთვის მომწოდებლებზე გადახდილი ავანსებისგან, რომელიც შეთანხმებების საფუძველზე ექვემდებარება საქონლის მოწოდებამდე გადახდას. გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მისაღები სასაქონლო-მატერიალური მარაგების პერიოდი არის მაქსიმუმ 12 თვე.

6 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ბალანსში ასახული ვალდებულებები მოიცავს ძირითადად სავაჭრო ვალდებულებებს - მოწოდებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მომწოდებლებზე გაადასახდელ თანხებს, რომელიც შეთანხმების საფუძველზე ექვემდებარება გადახდას საქონლის მოწოდების შემდგომ. ყველა სავაჭრო ვალდებულება მოკლევადიანია და დენომინირებულია ლარში. სავაჭრო ვალდებულებას პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების გადახდის პერიოდი არის მაქსიმუმ 12 თვე.

7 შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი შედგება საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლისგან:

აღწერა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	6,721,014	5,806,272
შემოსავალი მომსახურებიდან	74,144	62,362
სულ:	6,795,158	5,868,634

8 ფული და ფულადი ექვივალენტები

აღწერა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნაღდი ფული	130,702	7,340
ფული ბანკში	886,746	405,069
სულ:	1,017,448	412,409

9 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

გამოყენებული შეფასებები და მსჯელობები ეფუძნება ხელმძღვანელობის ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაფერის ფაქტორებს, მათ შორის ხელმძღვანელობის მოლოდინებს, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მომავალში მოვლენების შესაძლო განვითარებასთან დაკავშირებით.

10 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

11 ფინანსური რისკის ფაქტორები

- კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. საკუროს სხვაობები ძირითადად წარმოიშობა სასაქონლო მატერიალური მარგების ღირებულებიდან, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარში.
- ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები. კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ-ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.